811.353.110
З-18

კითხვისა და წერის მეთოდები

№ 1681

დამხმარე სახელმძღვანელო
მასწავლებლებისათვის

„სკოლა – ოჯახი – საზოგადოება“
თბილისი – 2007

აღნიშნული მეთოდური სახელმძღვანელო შეიქმნა პროგრამის „კითხვა და წერა კრიტიკული აზროვნებისათვის“ მასალების საფუძველზე.

სახელმძღვანელოში განხილულია კითხვისა და წერის მეთოდები, რომლებიც სწავლებისა და სწავლის ერთ-ერთი მიდგომას – კონსტრუქტივიზმს, ეფუძნება.

პროგრამის კონსულტანტები:

პაატა პაპავა, ასოციაცია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოების“ გამგეობის თავმჯდომარე;

ალან კროუფორდი, კითხვის საერთაშორისო ასოციაცია;

ჩარლზ ტემპლი, კითხვის საერთაშორისო ასოციაცია.

მეთოდური მასალების შემდგენლები:

პაატა პაპავა

ირინე ქიკვაძე

რედაქტორი:

რუსუდან პაპავა

დაიბეჭდა შპს „პეტიტში“

© ასოციაცია „სკოლა – ოჯახი – საზოგადოება“, 2007

სწავლისა და სწავლების თანამედროვე მიდგომები

1990-იან წლებში საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში სხვადასხვა საერთაშორისო პროგრამების განხორციელება დაიწყო. მათი უმრავლესობა პირდაპირ თუ ირიბად უსვამდა ხაზს ტრადიციული დიდაქტიკის არაეფექტურობას და სანაცვლოდ თანამედროვე, „ინოვაციურ" მიდგომებს ანიჭებდა უპირატესობას. ბუნებრივიცაა, რომ მათში ჩართვის მსურველ „ნოვატორებს" თავდაპირველად სანთლით ეძებდნენ. დღეისათვის გავრცელებულ, „მოდურ" ცნებებად ქცეული „აქტიური სწავლა", „მოსწავლეზე ორიენტირებული პედაგოგიკა", „მრავალმხრივი ინტელექტი", „კრიტიკული აზროვნება", „კონსტრუქტივიზმი", „ინტერაქტივი" და სხვ. გაჭირვებით იკიდებდა ფეხს მასწავლებლების ცნობიერებასა თუ საკლასო პრაქტიკაში. თავდაპირველად ქართული პედაგოგიური საზოგადოება არაერთგვაროვნად შეეგება დასავლურ სივრცეში „საგანგებოდ შეკონწიწებულ", საეჭვო პროექტებს. შემოთავაზებული კონცეფციებისადმი, მეთოდოლოგიური განახლების, განათლების მართვის დემოკრატიზაციის, სკოლისა და თემის თანამშრომლობისადმი დამოკიდებულებები ორ პოლუსზე შეიძლება განვათავსოთ: პირველ პოლუსზე მდგარნი (ასეთები საკმაოდ ბევრნი არიან) მეთოდოლოგიის უკან მდგარ ზნეობრივ, მსოფლმხედველობრივ თუ რელიგიურ საფრთხეზე საუბრობენ. მათი აზრით, სასწავლო სტრატეგიებს, რომელიღაც ფარული გზებით, დასავლური ღირებულებები შემოჰყვება, რაც ქართველი ბავშვების თაობებს ზნეობრივი გადაგვარებითა და ინტელექტუალური გაღარიბებით ემუქრება. მეორე პოლუსზე აღტკინებული ადამიანები არიან. ისინი ბრმად იტაცებენ ე. ნ. ინოვაციებს და ნაკლებად გააზრებული, მექანიკური მიდევნებით კმაყოფილდებიან. სამწუხაროდ, საკმარისად დიდია მასა პედაგოგებისა, რომელთათვისაც უკვე სულ ერთია, რას სწავლობს ქართველი ბავშვი, რატომ სწავლობს და როგორ — სოციალურ-ეკონომიკურმა გარემომ იმდენად მძიმე წნეხის ქვეშ მოაქცია, რომ თვითგადარჩენისთვის ბრძოლაში მომავლის სურათის აჩრდილიც კი დაუკარგავს თვალთახედვიდან. მთავარი მაინც ის გახლავთ,

რომ ქართულ საზოგადოებაში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა მომავალ თაობათა წარმატებული მდგომარეობის მკაფიო ხედვა. ჯერ კიდევ უპასუხოდ რჩება პირველი რიგის, ფუნდამენტური შეკითხვები: როგორ მსოფლიოში იცხოვრებენ ჩვენი შვილები რამდენიმე ათეული წლის შემდგომ? რა სახის ორგანიზაციებში დასაქმდებიან? რა პრობლემების გადაჭრა მოუწევთ? რომელი უნარ-ჩვევები გამოადგებათ ყველაზე მეტად? როგორ გაართმევენ თავს კონკურენტულ გარემოში წარმატების მიღწევის ამოცანას? რამდენად შეძლებენ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის ტარებას? ამ შეკითხვებს საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრის პრობლემასთან მივყავართ, რაც ყოველი ცივილიზაციის, განსაკუთრებით კი XXI საუკუნის „ზესწრაფი" ცივილიზაციის კონტექსტში, მეტად აქტუალურია.

რეფორმა მკაფიო ხედვის გარეშე, რეფორმა არ არის. ის ცალკეულ, ერთმანეთს მოწყვეტილ, ხშირად არათანმიმდევრულ ღონისძიებათა გროვა, ანუ რეფორმის ბუტაფორიაა. ასეთ ვითარებაში ღონისძიებათა სიმრავლე საქმის გარეგნულ ეფექტს კი ქმნის, მაგრამ არსებითად ვერაფერს გამოასწორებს. ამიტომ აუცილებელია, რომ თითოეულ სკოლაში გამოიკვეთოს ლიდერთა გუნდი, რომელიც ადეკვატურ ამოცანებს დასახავს და თანმიმდევრულად შეუდგება მათ განხორციელებას.

საზოგადოდ, მომავალი თაობისათვის შესატყვისი საგანმანათლებლო მიზნების განსაზღვრა მეტად რთული ამოცანაა. სანამ საკითხს ჩავუღრმავდებით, ერთი მხრივ დაბეჭდილ-დეკლარირებული და მეორე მხრივ, რეალურად დასახული მიზნები უნდა გავმიჯნოთ ერთმანეთისაგან. საბჭოური განათლების სისტემის აპოლოგეტთაგან განსხვავებით, უნდა ვაღიარო, რომ დღევანდელი სასწავლო მიზნები სრულებით არ პასუხობს მოსწავლეთა მოთხოვნებს და საჭიროებებს. ეს ის საკითხია, რაზეც დასავლეთში განათლების პოლიტიკის მესვეურნი და პედაგოგები აღარ კამათობენ. დღეს ბევრი სკოლა ისეთი ცოდნის გადაცემაზეა ორიენტირებული, როგორიცაა ფაქტების და ინფორმაციის დამახსოვრება და შემდგომი რეპროდუცირება. კონცეპტუალური, სიღრმისეული გაგებისა და მსჯელობის, ცოდნის პრაქტიკულ, ცხოვრებისეულ ვითარებებში გამოყენების უნარ-ჩვევები ნაკლებად ვითარდება.

ჩვენი მოსწავლეები ახალ-ახალი გამოწვევების, დინამიური ცვლილებების ეპოქაში ცხოვრობენ. ეკონომიკის გლობალიზაცია, რევოლუცია საინფორმაციო ტექნოლოგიებში, მკვეთრი ცვლილებები დასაქმების ბაზარზე და სხვა მრავალი ეპოქალური ტენდენცია პირდაპირ აისახება დღევანდელი სკოლის საქმიანობაზე, გარკვეული მიმართულებით უბიძგებს მას. საზოგადოებრივი დაკვეთა, და შესაბამისად, სკოლის ფუნქციაა: ყველა (და არა მხოლოდ ამა თუ იმ ნიშნით გამორჩეული) კურსდამთავრებული აღჭურვოს დღევანდელი საზოგადოებისათვის საჭირო და შესაფერისი განათლებით, იყოს მოქნილი ფიქრსა და აზროვნებაში, შეეძლოს კომპლექსური იდეების გაგება და წვდომა.

რაში მდგომარეობს სწავლებისა და სწავლის ახალი პარადიგმა? რამ გამოიწვია ტრადიციული მიდგომის გადაფასება? როგორ დანერგოს სკოლამ თანამედროვე ხედვა?

სწავლებისა და სწავლის თანამედროვე ჩარჩო-კონცეფცია განათლების სფეროში უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე გაწეული ინტენსიური მეცნიერული ძიების შედეგებს ეყრდნობა. პედაგოგიკის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის, ანთროპოლოგიის, ფილოსოფიის დარგებში კვლევამ ცხადყო, რომ ჩვენი წარმოდგენები ნაყოფიერი სწავლის შესახებ გადასახედია. XX საუკუნის მეორე ნახევარში მეცნიერნი ახალი ძალისხმევით მიუბრუნდნენ ოდინდელ შეკითხვებს: რა არის ცოდნა? როგორ სწავლობენ ადამიანები? როგორ აღწევენ ბავშვები და მოზრდილები შემოქმედებით წარმატებებს? აღმოჩნდა, რომ ეფექტური შემეცნება ნებისმიერ სასკოლო კულტურაში არ მიიღწევა, ანუ სპეციალური მახასიათებლებით აღჭურვილ გარემოს მოითხოვს. ეს არის გარემო, სადაც წახალისებულია

- სასწავლო მიზნების დამოუკიდებლად დასახვა
- კრიტიკული აზროვნება, საკითხის მრავალმხრივ დამუშავება, მრავალფეროვანი წყაროების დამუშავება
- შემოქმედებითი მიდგომა
- აქტიური თანამშრომლობა
- ურთიერთაღიარება და პატივისცემა.

განათლების სწორედ ამ პრინციპებით შეიკრა კარკასი, რომელზეც დღეს, განვითარებულ ქვეყნებში აგებენ ეროვნულ და

სასკოლო პროგრამებს, საკლასო გარემოს და ინსტრუქტაჟს. ცოდნის გაფართოება მოსწავლეთა ჩართულობის, სწავლის გააქტიურების გზით, ამოსავალ საგანმანათლებლო პრინციპად იქცა.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი სირთულე შეფასებას ეხება. პედაგოგმა უნდა იცოდეს, როგორ შეაფასოს დასახულ სასწავლო მიზნებსა და ათვისებულ ცოდნას შორის თანხვედრის დონე. მან სწორად უნდა შეარჩიოს მიდგომა, სტრატეგია და მეთოდები დასახული პედაგოგიური მიზნის მისაღწევად. ამ მხრივ, მრავალკომპონენტიანი სისტემის დანერგვა, რომელიც მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ არსებით კომპონენტს წარმოადგენს, საუკეთესო საშუალებაა შეფასების ეფექტურობის გაზრდისათვის.

მომდენო გვერდებზე აღწერილია სწავლისა და სწავლების ერთ-ერთი თანამედროვე მიდგომა და თეორია — კონსტრუქტივიზმი. ფილოსოფიურ და პედაგოგიურ საფუძვლებთან ერთად მოცემულია რამდენიმე ეფექტური გაკვეთილის ნიმუში, რომელიც, ჩვენი აზრით, მკაფიო წარმოდგენას ქმნის აღწერილი მიდგომის პრაქტიკული რეალიზების შესახებ საგაკვეთილო პროცესში.

კონსტრუქტივიზმი

პედაგოგები, მკვლევარნი და განათლების პოლიტიკოსები საბოლოოდ შეთანხმდნენ: განათლების ტრადიციული ხედვა, რომელიც დაბალი საფეხურის ცოდნაზე და ზედაპირულ გაგებაზეა ორიენტირებული, თანამედროვე საზოგადოებრივ მოთხოვნებს ვეღარ პასუხობს. XXI საუკუნის კონკურენტულ, ინდუსტრიულ გარემოში დასაქმებას და წარმატებას ის აღწევს, ვისაც ძალუძს კომპლექსური პრობლემების გადაჭრა და ეფექტური სამუშაო ტექნოლოგიების შექმნა. რასაკვირველია, მოსწავლეს აზროვნებისათვის დიდი მოცულობის საბაზო ცოდნა ესაჭიროება, მაგრამ კონცეპტუალური წვდომის უნარ-ჩვევებით აღჭურვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია. როგორ მიიღება ასეთი ცოდნა და როგორ გავაღვივოთ მოსწავლეში შემეცნებითი ენერგია? აი ახალი პარადიგმის ძირეული საკითხები.

დღეს პედაგოგები ხშირად საუბრობენ კონსტრუქტივიზმზე და სწავლება-სწავლის კონსტრუქტივისტულ მიდგომაზე. ეს მიდგომა მკაფიოდ აისახება სასწავლო პროგრამებსა და საგანმანათლებლო სტანდარტებში. კონსტრუქტივიზმის იდეა ახალი არ არის და ხშირად გვხვდება კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, განსაკუთრებით, ვიგოცკისა და პიაჟეს შრომებში.

რაში მდგომარეობს კონსტრუქტივისტული მიდგომა და რატომ იქცა იგი სწავლების ახალ პარადიგმად? კონსტრუქტივიზმი დაკვირვებასა და მეცნიერულ კვლევაზე დაფუძნებული თეორიაა იმის შესახებ, თუ როგორ სწავლობენ ადამიანები. ნებისმიერი საგნის შემეცნება მთლიანად არის დამოკიდებული ამ საგნის მენტალურ/აზრობრივ კონსტრუირებაზე. კონსტრუქტივისტული მიდგომა გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა ინდივიდი წარმოდგენილ მასალას განსხვავებულად აღიქვამს და იგებს, რაც მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე, წინარე ცოდნასა და შემეცნებით უნარებზეა დამოკიდებული. გამოკვლევები ცხადყოფს, რომ ადამიანი უკვე არსებულ ცოდნასა და კოგნიტურ სტრუქტურებზე დაშენებით, საკუთარი შემეცნებითი მოდელების გამოყენებით სწავლობს და იმახსოვრებს. მასწავლებელი, ცხადია, წარმართავს სასწავლო პროცესს, მოსწავლე ერთვება და, თავის მხრივ, ავითარებს მას, მაგრამ ხშირად მასწავლებლის მიერ ახსნილი მასალა და მისი ხარისხი მნიშვნელოვნად ვერ ცვლის უკვე არსებულ წარმოდგენებს და შეხედულებებს. კოგნიტური სტრუქტურის გავლენა სწავლის პროცესზე შეგვიძლია ნათლად დავინახოთ საბუნებისმეტყველო საგნების სწავლის პროცესში. ხშირად გაკვეთილზე „ფორმალიზებულად" ახსნილი შინაარსი უპირისპირდება მოსწავლის ცოდნას ან ინტუიტურ წარმოდგენას საკითხის გარშემო. მაგალითად, მოსწავლეები დარწმუნებულნი არიან, რომ თვალებით თვით საგნებს ვხედავთ. სინამდვილეში, ჩვენი თვალები მხოლოდ საგნიდან არეკლილ სხივებს აღიქვამს. მეცნიერულად დასაბუთებული თეორიის მკაფიოდ ახსნა, ხშირად, შესაძლოა არასაკმარისი აღმოჩნდეს მოსწავლის შეხედულებისა და ცოდნის არაადეკვატურობის დასამტკიცებლად. მოცემულ შემთხვევაში მოსწავლეებმა უნდა გამოსცადონ ისეთი ვითარება, რომელიც ვერ აიხსნება მათი შეხედულებებით სინათლისა და მხედველობის შესახებ. ასეთ ვითარებაში მასწავლებელი

ვალდებულია, სიღრმისეული განსჯით, არგუმენტებითა და თვალნათელი მაგალითებით გაამდიდროს მეცადინეობა და შექმნას გარემო, სადაც მცდარ მოსაზრებებს მეცნიერული მტკიცებულებები დაუპირისპირდება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსწავლეები არსებულ წარმოდგენებს არ გადაუხვევენ, მაშინაც კი, როდესაც ტესტის ამოცანებზე სწორ პასუხებს შემოხაზავენ.

უფრო პრაქტიკული მაგალითის მოსაყვანად, მათემატიკური მუდმივა π გავიხსენოთ. როგორ ისწავლება ეს მუდმივა ტრადიციული მიდგომით? მასწავლებელი ხსნის მასალას, ამბობს, რომ π 3,14-ის ტოლია და მოჰყავს მისი გამოყენების მაგალითები. მოსწავლეებს ეძლევათ ამოცანები, რომელთა ამოხსნა მუდმივას მოშველიებას და მასზე მოქმედებებს მოითხოვს. ახლა კონსტრუქტივიზმს მივუბრუნდეთ. როგორ ვასწავლოთ π კონსტრუქტივისტული მიდგომით? პირველ რიგში, ეს მოსწავლეების სასწავლო პროცესში აქტიურ ჩართვას მოითხოვს. მასწავლებელი კლასს წარუდგენს წრიული ფორმის საგნებს და სთხოვს მოსწავლეებს, გაზომონ საგნების დიამეტრი და წრეწირის სიგრძე. მოსწავლე აანალიზებს მიღებულ მონაცემებს, იყენებს გრაფიკებს, დიაგრამებს და ცხრილებს; შემდეგ, მასწავლებლის დახმარებით, დაკვირვებით იკვლევს შედეგებს და ასკვნის, რომ წრეწირის სიგრძის დიამეტრზე გაყოფით ერთსა და იმავე რიცხვს, ანუ მუდმივას ვიღებთ. გამოკვლევის პროცესში ჩართვით მოსწავლე რეალურად რწმუნდება მასალის ჭეშმარიტებაში.

აღწერილ მიდგომაში არაფერია განსაკუთრებით ახალი და საწინააღმდეგო. მასწავლებლები დიდი ხანია მისდევენ მსგავს მეთოდებს. ასეთი ცოდნა შედარებით ხანგრძლივია, ვინაიდან თითოეულ მოსწავლეს კონკრეტული ცნების, მოვლენის, თუ მასალის საკუთარი გამოცდილებით შესასწავლად მეტი დრო სჭირდება. „ნაკლები უფრო მეტია“ საყოველთაოდ მიღებულ ჭეშმარიტებად იქცა თანამედროვე სასკოლო საზოგადოებაში.

რა ცვლილებები მოსდევს კონსტრუქტივისტული მიდგომის დანერგვას სასწავლო პროგრამაში? პროგრამიდან ამოიღეს ნაკლებად მნიშვნელოვანი თემები, შესაბამისად, შეინარჩუნეს ყველაზე საკვანძო საკითხები. საკუთარი გამოცდილებით სწავლის დროს მოსწავლე არც პასიურია და არც გარიყული. ის ენერგიულად და ბეჯითად ეუფლება ცოდნას, რაც უწყვეტი

სწავლის საწინდარია. თუ მოცემულ დროში ნაკლებ თემას გავდივართ, თითოეულის ათვისების სიღრმე უფრო დიდია.

მნიშვნელოვანია გვახსოვდეს, რომ სწავლის პროცესში ფიზიკური დასწრება, ანუ გაკვეთილზე ჯდომა ჯერ კიდევ არ უდრის ცოდნის კონსტრუირებას. საკითხის ახსნა (თუნდაც მრავალფეროვანი თვალსაჩინოებების გამოყენებით) და ფრონტალური შეკითხვები ხშირად არ გვაძლევს მოსწავლის გონებრივი მუშაობის გარანტიას. კონსტრუქტივისტულ კლასში მოსწავლე გაცნობიერებულად ერთვება სასწავლო აქტივობებში, ანუ ბრმად და გაუაზრებლად არ ასრულებს მასწავლებლის მითითებებს.

უნდა აღინიშნოს, რომ კონსტრუქტივიზმი არ არის ერთადერთი მნიშვნელოვანი პედაგოგიური მიდგომა. სხვა სახის სტრატეგიებიც არანაკლებ როლს ასრულებს ეფექტურ სწავლაში, მაგალითად მექანიკურ-გამეორებითი სავარჯიშოებით სწავლა მათემატიკაში.

კითხვის მეთოდები

ტექსტის კითხვა ნიშანთა სისტემით

აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს მოსწავლეებს გააზრებულად და სიღრმისეულად დაამუშაონ საინფორმაციო ტიპის ტექსტები (ბიოგრაფიები, მეცნიერული/კვლევითი ტექსტები). ასეთი ტექსტების კითხვისას ხშირად მოსწავლეებს უჭირთ მნიშვნელოვანი და სტრატეგიული ინფორმაციის ამოკრება, რაც ინფორმაციის გააზრებას და გაგებას უშლის ხელს. აღნიშნული სტრატეგია საშუალებას აძლევს მოსწავლეს არსებულ და ახლად მიღებულ ინფორმაციას შორის კავშირები დაამყაროს და მყარი/საფუძვლიანი ცოდნის კონსტრუირება შეძლოს.

მეთოდის აღწერა:

1. წარუდგინეთ მოსწავლეებს შესასწავლი თემა და კონკრეტული ტექსტი, რომლის დამუშავებაც მოუწევთ;
2. აუხსენით, რომ ტექსტის დამუშავება „ნიშანთა სისტემის" დახმარებით მოუწევთ. გააკარით დაფაზე პლაკატი, რომელზეც ჩამოწერილია შემდეგი აღნიშვნები:

„V" - ამოკითხული ინფორმაცია ემთხვევა ჩემს ცოდნას;
„–" - ამოკითხული ინფორმაცია ეწინააღმდეგება ჩემს ცოდნას;
„+" - ამოკითხული ინფორმაცია ახალია ჩემთვის;
„?" - ამოკითხული ინფორმაცია უცნაურად მეჩვენება, ან ამ საკითხზე მეტის გაგება მსურს.

3. მოსწავლეებს სთხოვეთ, ტექსტის კითხვის დროს მინდორზე ზემოთ აღნიშნული ნიშნები დასვან. აუცილებელი არ არის ყოველი სტრიქონის ან აზრის აღნიშვნა, შესაძლოა მოსწავლემ მთლიანი აბზაცი ან მხოლოდ ერთი ტერმინი მონიშნოს;
4. აუხსენით, რომ ერთდროულად ორი ნიშნის გამოყენებაც შეუძლიათ;
5. სთხოვეთ მოსწავლეებს ინდივიდუალურად, წყვილში ან ჯგუფში შეავსონ ცხრილი და მათი ჩანაწერების მიხედვით დისკუსია გამართეთ;
6. შეგიძლიათ მე-5 პუნქტი გამოტოვოთ, ტექსტის წაკითხვისა და დამუშავების შემდეგ დაფაზე გამოკრული ცხრილი მოსწავლეთა ნააზრევებით შეავსოთ და ცხრილის შევსებისას კლასში დისკუსია წარმართოთ.

შედეგები:

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- საინფორმაციო ტექსტებზე დამოუკიდებელად მუშაობა;
- გააზრებული კითხვა;
- ინფორმაციის კატეგორიზება.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში გაკვეთილის მეორე ფაზაზე (შინაარსის რეალიზების დროს), ხოლო სქემის განხილვა მესამე ფაზას (რეფლექსიას) მოიცავს.

მნიშვნელოვანია

გამოყენებული ნიშნების რაოდენობა შესაძლოა შეიცვალოს მასწავლებლის შეხედულების მიხედვით, მოსწავლეთა ასაკისა და განვითარების გათვალისწინებით. დაწყებით კლასებში აღნიშნვები ორს არ უნდა აღემატებოდეს.

მზე და მთვარე

მეთოდი - „მზე და მთვარე", მოსწავლეებს გააზრებულად კითხვისა და შესასწავლი თემის დამუშავების საშუალებას აძლევს. ეს სტრატეგია ეხმარება მათ ინფორმაცია გაიაზრონ, დაახარისხონ და ნათელი და ბუნდოვანი საკითხები გამოყონ.

მეთოდის აღწერა:

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, რვეული ვერტიკალური ხაზით ორ ნაწილად გაყონ. მარცხენა სვეტში მზე ჩახატონ, ხოლო მარჯვენაში – მთვარე;
2. აუხსენით, რომ კითხვის პროცესში მათთვის ნათელი და გასაგები საკითხები მზის ქვეშ ჩაწერონ, ხოლო ბუნდოვანი და გაუგებარი კი - მთვარის ქვეშ;
3. კითხვისათვის დრო წინასწარ განუსაზღვრეთ. თუ რომელიმე მოსწავლე ვერ მოასწრებს განსაზღვრულ დროში ტექსტის ბოლომდე წაკითხვას, შეაწყვეტინეთ კითხვა და ჩართეთ გაკვეთილის შემდეგ საქმიანობაში;
4. კითხვის დასრულების შემდეგ დააწყვილეთ მოსწავლეები და სთხოვეთ ერთმანეთს ჩანაწერები გაუზიარონ. წყვილში მუშაობისას შემდეგი ინსტრუქტაჟი მიეცით: „გადახედეთ ერთმანეთის ჩანაწერებს და შეეცადეთ დაეხმაროთ მეწყვილეს ბუნდოვანი საკითხების გარკვევაში." გაზიარების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, ის ბუნდოვანი საკითხები, რომლებიც მათთვის ნათელი გახდა სხვა ფერის კალმით „მზის" სვეტში გადაიტანონ;
5. წყვილებში დავალების შესრულების შემდეგ გაარკვიეთ, რომელი საკითხი დარჩა ყველასათვის გაუგებარი და დისკუსია სწორედ ამ საკითხებზე წარმართეთ.

შედეგები:

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- ინფორმაციის დახარისხება;
- დამოუკიდებლად აზრის ფორმულირება;
- ტექსტზე დამოუკიდებელად მუშაობა;
- თანამშრომლობა და კომუნიკაცია;

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში გაკვეთილის მეორე ფაზაზე (შინაარსის რეალიზება).

✓ ვიცი / მინდა ვიცოდე / ვისწავლე

აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებში შესასწავლი თემისადმი მოტივაციას ამაღლებს, ხელს უწყობს გააზრებულ კითხვას და ტექსტის სიღრმისეულ გაგებას. სტრატეგია საშუალებას აძლევს მოსწავლეს თემის ირგვლივ არსებული ცოდნა „ამოატივტივოს", საკუთარი ინტერესები დააფიქსიროს და შესასწავლი საკითხი სიღრმისეულად დაამუშაოს.

მეთოდის აღწერა:

1. დაფაზე გამოაკარით (ან დახაზეთ) სამსვეტიანი ცხრილი (იხ. ქვემოთ). პირველ სვეტში ჩაწერეთ - „როგორ გვგონია, რა ვიცით?"; მეორეში - „რა გვინდა ვიცოდეთ/რა გვაინტერესებს?"; მესამეში კი - „რა ვისწავლეთ?";
2. მოსწავლეებს შემდეგი შეკითხვით მიმართეთ: როგორ გგონიათ, რა ვიცით მოცემული თემის შესახებ? მათი ნააზრევები I სვეტში დააფიქსირეთ;
3. პირველი სვეტის შევსების შემდეგ კვლავ დასვით შეკითხვა: რა გვაინტერესებს ამ თემასთან დაკავშირებით? მოსწავლეთა ინტერესები მეორე სვეტში დააფიქსირეთ;
4. მოსწავლეებს სთხოვეთ, ტექსტი შემდეგი ინტსრუქტაჟით წაიკითხონ: „შეეცადეთ კითხვის დროს ყურადღება გაამახვილოთ იმ საკითხებზე, რომლებიც მეორე სვეტშია დაფიქსირებული";
5. კითხვის დასრულების შემდეგ კლასში დისკუსია შევსებული ცხრილის მიხედვით წარმართეთ: ჩაიკითხეთ პირველ სვეტში დაფიქსირებული ყველა მოსაზრება და მიმართეთ კლასს - „რამდენად შეესაბამება ეს ინფორმაცია წაკითხულ ტექსტს?" ის ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება, გადახაზეთ;

6. შემდეგ ჩაიკითხეთ მეორე სვეტში დაფიქსირებული მოსწავლეთა ინტერესები და დასვით შეკითხვა: რამდენად დაკმაყოფილდა თქვენი ინტერესები ტექსტის წაკითხვის შემდეგ? ხომ არ დარჩა რომელიმე საკითხი გაურკვეველი?
7. მას შემდეგ, რაც ცხრილის ორივე სვეტს განიხილავთ, მოსწავლეებს სთხოვეთ შეაჯამონ - „რა ვისწავლეთ" და მათი პასუხები მესამე სვეტში დააფიქსირეთ;
8. თუ II სვეტიდან რომელიმე საკითხი მოსწავლეებს გაურკვეველი დარჩათ, ისინი დასამუშავებლად მიეცით და მიუთითეთ ლიტერატურა, ხოლო რთული კითხვები კი კლასთან ერთად განიხილეთ.

როგორ გვგონია, რა ვიცით?	რა გვინდა ვიცოდეთ? რა გვაინტერესებს?	რა ვისწავლეთ?

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის სამივე ფაზას (I და II სვეტი მოიცავს გამოწვევის ფაზას, III სვეტი რეფლექსიის ფაზას, ხოლო შინაარსის რეალიზება ტექსტის კითხვის დროს მიმდინარეობს).

პაუზებით კითხვა (I)

პაუზებით კითხვა მოსწავლეებს ხელს უწყობს გაიაზრონ და სიღრმისეულად დაამუშაონ ნარატიული (თხრობითი) ტექსტები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას მოსწავლეებს უვითარდებათ კრიტიკული აზროვნება – ისინი სწავლობენ კითხვის დასმას, ვარაუდების გამოთქმასა და არგუმენტიერბულ მსჯელობას.

მეთოდი მასწავლებელს საშუალებას აძლევს ყველა დონის მოსწავლეს გააააზრებინოს და დაამუშავებინოს თუნდაც რთული ტექსტი. ამასთანავე, „პაუზებით კითხვა" კითხვისადმი მოტივაციის ამაღლების საუკეთესო საშუალებაა.

მეთოდის აღწერა:

1. ტექსტი წინასწარ რამდენიმე ნაწილად დაყავით. მნიშვნელოვანია, რომ წყვეტა საკვანძო საკითხებთან მოხდეს, რადგან მოსწავლეებმა შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ წინასწარი ვარაუდი გამოთქვან;
2. გაკვეთილის დასაწყისში მოკლე მიმოხილვა გააკეთეთ ნაწარმოების ავტორზე, წერის სტილზე და მის შექმნილ სხვა ნაწარმოებებზე (ამ საუბარს ნუ დაუთმობთ 5 წუთზე მეტს);
3. მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ტექსტი პაუზებითუნდა წაიკითხონ და ყოველ პაუზასთან შეჩერება მოუწევთ. აუხსენით, რომ ამ პირობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია;
4. მოსწავლეებს ტექსტის პირველი ნაწილი გარკვეული დავალებით წააკითხეთ. მაგალითად: ტექსტის ამ ნაწილში მოძებნეთ კონტრასტები; ხაზი გაუსვით უცხო სიტყვებს; ამოიწერეთ ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტები და ა. შ. ეს მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა ყურადღებით წაიკითხონ ტექსტის პირველი ნაწილი;
5. პირველი პაუზის წაკითხვის შემდეგ კლასში დისკუსია გამართეთ შემდეგ შეკითხვებზე: რა კონტრასტები დაინახეთ? ან, ვის შეუძლია განმარტოს ... გთხოვთ, გადმოსცეთ ტექსტის ეს ნაწილი თქვენი სიტყვებით და ა. შ.;

6. მოსწავლეებს სთხოვეთ, შემდეგ მონაკვეთში განვითარებულ მოვლენებზე წინასწარი ვარაუდები გამოთქვან. შეგიძლიათ დასვათ შემდეგი სახის შეკითხვა: როგორ ფიქრობთ, რა მოხდება? როგორ განვითარდება მოვლენები? რატომ ფიქრობთ ასე? რა მინიშნება გაქვთ საამისოდ? ტექსტიდან მოიყვანეთ არგუმენტი;
7. ვარაუდების დაფიქსირების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ კითხვა მეორე პაუზამდე გააგრძელონ;
8. გაიმეორეთ მე-5-7 პუნქტებში აღწერილი ნაბიჯები იმდენჯერ, რამდენ პაუზასაც შეიცავს ტექსტი;
9. ტექსტის ნაწილ-ნაწილ დამუშავების დასრულების შემდეგ მოსწავლეებს შეკითხვები დაუსვით. მაგალითად: რა არის ნაწარმოების დედააზრი? ვინმეს ხომ არ აქვს სხვა მოსაზრება? როგორ შეაფასებდით გმირის საქციელს? თქვენ მის ადგილზე როგორ მოიქცეოდით? რატომ ფიქრობთ ასე? და ა.შ.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;
- არგუმენტირებული მსჯელობა;
- ჰიპოთეზების გამოთქმა;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება;
- ლოგიკური აზროვნება;
- სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. რთული ტექსტების დასამუშავებლად. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის სამივე ფაზას.

პაუზებით კითხვა (II)

მეთოდის აღწერა:

1. ტექსტი წინასწარ რამდენიმე ნაწილად დაყავით. მნიშვნელოვანია, რომ წყვეტა საკვანძო საკითხებთან მოხდეს, რადგან მოსწავლეებმა შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ წინასწარი ვარაუდი გამოთქვან;
2. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებს რამდენიმე ლექსიკური ერთეული დაფაზე ჩამოუწერეთ და სთხოვეთ, მათი გამოყენებით პატარა ჩანახატი შექმნან (ამისათვის 5 წთ. მიეცით);
3. სთხოვეთ, თითოეულმა მოსწავლემ ნაწერი/ნაფიქრი ხუთი წუთის განმავლობაში გვერდით მჯდომს გაუზიაროს;
4. ორ-სამ მსურველს სთხოვეთ (განსხვავებული მოსაზრებები) საკუთარი ნაწერი/ნაფიქრი მთელ კლასს გაუზიაროს;
5. მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ტექსტი პაუზებით, ინდივიდუალურად ან წყვილებშიუნდა წაიკითხონ და ყოველ პაუზასთან შეჩერდნენ. აუხსენით, რომ ამ პირობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია;
6. გამოუკარით დაფაზე ვარაუდების სქემა და სთხოვეთ რვეულში დაგაიხატონ;
7. მოსწავლეებს ტექსტის პირველი ნაწილი წააკითხეთ და სთხოვეთ, ყურადღება მიაქციონ, თუ რა განსხვავებაა წაკითხულ მოთხრობასა და მათ მიერ წარმოსახულს შორის;
8. პირველი პაუზის წაკითხვის შემდეგ, სთხოვეთ მოსწავლეებს სქემის I გრაფა შეავსონ: „როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?"
9. სთხოვეთ მოსწავლეებს, II გრაფაში ჩაწერონ, რა მინიშნება აქვთ საამისოდ. ჩაინიშნონ ის მინიშნებები, რომლებზე დაყრდნობითაც აღნიშნული ვარაუდი გაუჩნდათ;
10. II გრაფის შევსების შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ შემდეგი მონაკვეთი წაიკითხონ;
11. კითხვის დასრულების შემდეგ აუხსენით მოსწავლეებს, III გრაფაში ჩაწერონ „სინამდვილეში რა მოხდა" და ტექსტის მეორე ნაწილში განვითარებული მოვლენების შესახებ ახალი ვარაუდები I და II („როგორ ფიქრობთ რა მოხდება?" —„რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?") სვეტში შეიტანონ;

12. ასე გაიმეორეთ მე- 10-11 პუნქტებში აღწერილი ნაბიჯები, ვიდრე მოსწავლეები ტექსტის უკანასკნელ მონაკვეთს არ წაიკითხავენ;
13. კითხვის დასრულების შემდეგ, მოისმინეთ მოსწავლეთა გამოხმაურება წაკითხულის შესახებ. დაუსვით შეკითხვები: რას ფიქრობთ წაკითხულის შესახებ და რატომ? რას გრძნობთ? შეეცადეთ ხელი შეუწყოთ მოსწავლეებს თავადაც დასვან შეკითხვები. დაეხმარეთ მათ ფორმულირებაში. კამათი და დისკუსია ძირითადად მოსწავლეთა ჩანაწერების მიხედვით წარმართეთ.

როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	ნაწილი I რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?	სინამდვილეში რა მოხდა?
როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	ნაწილი II რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?	სინამდვილეში რა მოხდა?
როგორ ფიქრობთ, რა მოხდება?	ნაწილი III რა მინიშნება გაქვთ საამისოდ?	სინამდვილეში რა მოხდა?

- 1681 -

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;
- არგუმენტირებული მსჯელობა;
- ჰიპოთეზების გამოთქმა;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება;
- ლოგიკური აზროვნება;
- სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;
- ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში, რთული ტექსტების დასამუშავებლად. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის სამივე ეტაპს.

პაუზებით კითხვა (III)

მეთოდის აღწერა:

1. ტექსტი წინასწარ დაყავით რამდენიმე ნაწილად. მნიშვნელოვანია, რომ წყვეტა საკვანძო საკითხებთან მოხდეს, რადგან მოსწავლეებმა შემდეგ მონაკვეთში მოცემული სიუჟეტის შესახებ წინასწარი ვარაუდი გამოთქვან;
2. გაკვეთილის დასაწყისში მოკლე მიმოხილვა გააკეთეთ ნაწარმოების ავტორზე, წერის სტილზე და მის შექმნილ სხვა ნაწარმოებებზე (ამ საუბარს ნუ დაუთმობთ 5 წუთზე მეტს);
3. კლასი 6 კაციან ჯგუფებად დაყავით, ხოლო თითოეულ ჯგუფში 3 წყვილი შექმენით;
4. მოსწავლეებს განუმარტეთ, რომ ტექსტი პაუზებით წყვილებშიუნდა წაიკითხონ და ყოველ პაუზასთან შეჩერდნენ. აუხსენით, რომ ამ პირობის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია;
5. მოსწავლეებს დაფაზე ორსვეტიანი ცხრილი დაუხაზეთ და სთხოვეთ, პირველი პაუზის შემდეგ წყვილმა პირველ სვეტში წაკითხული ტექსტიდან გამომდინარე 2 ან 3 შეკითხვა ჩაწეროს, ხოლო მეორე სვეტში - წინასწარი ვარაუდი გამოთქვან ტექსტის შემდეგ ნაწილთან დაკავშირებით;
6. მეხუთე პუნქტში აღწერილი ნაბიჯები გაიმეორეთ ყოველი პაუზის შემდეგ, სანამ მოსწავლეები ტექსტს ბოლომდე არ წაიკითხავენ;
7. ტექსტის წაკითხვის შემდეგ სთხოვეთ წყვილებს თავიანთი ნამუშევარი 6 კაციან ჯგუფში განიხილონ — ა) რამდენად გამართლდა მეორე სვეტში მოცემული ვარაუდები? რა ძირითადი არგუმენტები გამოკვეთეს ტექსტის კითხვის დროს; ბ) რა შეკითხვები დაისვა თითოეულ მონაკვეთთან დაკავშირებით? მოსწავლეებს სთხოვეთ, დასმულ შეკითხვებზე ჯგუფში დისკუსია გამართონ;
8. მას შემდეგ, რაც ჯგუფებში მუშაობა დასრულდება, დისკუსია მთელ კლასში წარმართეთ (თუ დროის სიმცირის

გამო ვერ მოახერხეთ მერვე პუნქტის შესრულება, შემდეგი გაკვეთილი შეგიძლიათ მოსწავლეთა შეკითხვებზე დისკუსიას დაუთმოთ).

ტექსტის ნაწილი #	შეკითხვები ტექსტის თითოეულ ნაწილთან დაკავშირებით	წინასწარი ვარაუდები ტექსტის შემდეგ ნაწილთან დაკავშირებით
I		
II		
III		

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- ურთიერთთანამშრომლობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;
- შეკითხვების დასმა (ბლუმის აზროვნების დონეების მიხედვით);
- არგუმენტირებული მსჯელობა;
- ჰიპოთეზების გამოთქმა;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება;
- ლოგიკური აზროვნება;
- სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;
- ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში, რთული ტექსტების დასამუშავებლად. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის სამივე ფაზას.

ორმხრივ ჩანაწერთა დღიური

აღნიშნული სტრატეგია შესასწავლი საკითხისადმი მოსწავლის პირადი დამოკიდებულების ჩამოყალიბებასა და კითხვის პროცესში ტექსტის სიღრმისეულ გააზრებას უწყობს ხელს.

მეთოდის აღწერა:

1. მოსწავლეებს სთხოვეთ რვეულის ფურცელი ვერტიკალური ხაზით ორად გაყონ. თვალსაჩინოების მიზნით, შეგიძლიათ დაფაზე უჩვენოთ მაგალითი (დახაზოთ დაფაზე);
2. აუხსენით, რომ ტექსტიდან ის წინადადებები ან ფრაზები უნდა შეიტანონ მარცხენა გრაფაში, რომლებმაც მათზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. დემონსტრირების მიზნით, თავად შეარჩიეთ რომელიმე ასეთი გამონათქვამი და დაფაზე მარცხენა გრაფაში ჩაწერეთ;
3. შემდეგ აუხსენით, რომ შერჩეულ ფრაზასთან ან პრობლემასთან პირადი გამოცდილება ან დამოკიდებულება ფურცლის მარჯვენა გრაფაში ჩაწერონ. ეს შეიძლება იყოს რაიმე ამბავი საკუთარი გამოცდილებიდან, უარყოფითი ან დადებითი ემოციები იმის შესახებ, რამაც ჩააფიქრა, ან მათ ხელთ მანამდე არსებული ინფორმაცია ავტორის/ ნაწარმოების შესახებ. მარჯვენა გრაფა მოსწავლემ შემდეგი შეკითხვების მიხედვით უნდა შეავსოს: რა მოსაზრებით შეარჩიე სწორედ ეს მონაკვეთი? რაზე დაგაფიქრა? რაიმე ხომ არ გაგახსენდა? თვალსაჩინოების მიზნით, თქვენ თავად შეიტანეთ ასეთი ინფორმაცია დაფის მარჯვენა ნაწილში;
4. აუხსენით, რომ წაკითხული ტექსტიდან მათ თავიანთ სამუშაო რვეულებში სამი ჩანაწერი მაინც უნდა გააკეთონ. ჩანაწერთა რაოდენობა დამოკიდებულია ტექსტის სიდიდეზე;
5. მიუთითეთ, რომ ჩანაწერების შემოწმების მიზნით, სამუშაო რვეულებს არ გამოართმევთ. ჩანაწერები მოგვიანებით კლასს უნდა გაუზიარონ;
6. სთხოვეთ, რომ ტექსტს გაეცნონ. დააკვირდით კლასს და დარწმუნდით, რომ ყველამ გაიგო ინსტრუქტაჟი. თუ

სწორად გაიგებენ თქვენს მიერ მიწოდებულ ინსტრუქციებს და სავარჯიშოს შესრულების ტექნიკას, სთხოვეთ, ტექსტის ასეთი გზით დამუშავება დამოუკიდებლად განაგრძონ. მიუჯექით მაგიდას და დავალება მოსწავლეებთან ერთად თქვენც შეასრულეთ;

7. კითხვის დასრულების შემდეგ მოხალისეებს სთხოვეთ, კლასს თავიანთი ჩანაწერები გაუზიარონ ისე, რომ ტექსტში განვითარებული მოვლენების თანმიმდევრობა დაიცვან.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;
- არგუმენტირებული მსჯელობა და აზრის წერილობით ჩამოყალიბება;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება;
- სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;
- ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფოემაციის ამოკრება/ კატეგორიზება.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში, რთული ტექსტების დასამუშავებლად. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის მეორე (შინაარსის რეალიზება) ფაზას.

კითხვა – არგუმენტი – პასუხი – მოპოვებული ინფორმაცია (კაპი)

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სტრატეგიის გამოყენება დიდ დროს მოითხოვს, იგი ძალიან ეფექტური საშუალებაა მოსწავლეებში მასალის ათვისების დონის გასაუმჯობესებლად. ისინი, ამ მეთოდის გამოყენებით, ტექსტს ზედმიწევნით სიღრმისეულად ამუშავებენ. შემოტანილი კოდების გამოყენება ეხმარება მათ ინფორმაციის კატეგორიზებაში. აგრეთვე, ხელს უწყობს მოსწავლის გააზრებულ და ეფექტურ მკითხველად ჩამოყალიბებას.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეებს შემდეგი აღნიშვნები გააცანით:

კ	*კითხვები* - დააფიქსირეთ თითოეული აბზაცის ფუძეა ზრი და დასვით შეკითხვები („რაში მდგომარეობს შეკითხვა?")
ა	*არგუმენტები* - ტექსტში მოიძიეთ არგუმენტები, ფაქტები, ღირებულებითი ნანამძღვრები, კანონები და სტატისტიკური მონაცემები („რა არგუმენტებია მოყვანილი?")
პ	*პასუხები* – ტექსტში თქვენს მიერ დასმულ შეკითხვებზე პასუხები მოიძიეთ. ნუ გამოიყენებთ ჩანაწერებს, სანამ ტექსტს მთლიანად არ წაიკითხავთ („რაში მდგომარეობს პასუხი?")
ი	*ინფორმაცია* — მიუთითეთ, რა ინფორმაცია აკლია ტექსტს, რათა სრულყოფილი დასკვნები გამოიტანოთ („რა ინფორმაცია ან არგუმენტებია გამორჩენილი?")

2. მოსწავლეებს დაფაზე ცხრილი დაუხაზეთ და სთხოვეთ რვეულში გადაიხაზონ.

კ	ა	პ	ი

3. მოსწავლეებს სთხოვეთ, ტექსტი ინდივიდუალურად წაიკითხონ და პარალელურად ცხრილი შეავსონ;
4. დააწყვილეთ ან დააჯგუფეთ მოსწავლეები და სთხოვეთ, ჩანაწერების მიხედვით დისკუსია გამართონ;
5. გაკვეთილის ბოლოს წყვილებს/ჯგუფებს სთხოვეთ თავიანთი მოსაზრებები მთელ კლასს გაუზიარონ.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობა;
- ტექსტის გააზრებულად წაკითხვა და გაანალიზება;

- არგუმენტირებული მსჯელობა და აზრის ლაკონურად ჩამოყალიბება;
- დასკვნების გამოტანა და წაკითხულის შეჯამება;
- სხვისი აზრის მოსმენა და პატივისცემა;
- ტექსტიდან მნიშვნელოვანი ინფორმაციის ამოკრება/ კატეგორიზება.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში, რთული ტექსტების დასამუშავებლად. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის მეორე (შინაარსის რეალიზება) ფაზას.

წერის მეთოდები

წერის მეთოდების სისტემა

წერის მეთოდების მიზანია ვასწავლოთ მოსწავლეებს სამეცნიერო, შემოქმედებითი თუ სხვა პირადი მიზნებისათვის წერა. სახელმძღვანელოს ამ ნაწილში აღწერილი სწავლება-სწავლის სისტემა მასწავლებლებს საგაკვეთილო პროცესში სხვადასხვა მეთოდის გამოყენებას სთავაზობს. თითოეული მათგანი კონკრეტულ მიზანს ემსახურება. ამ ქვეთავში წერის ზოგიერთ მეთოდს განვიხილავთ. ესენია: ასოციაციური კავშირები, ხუთსტრიქონიანი ლექსი, კუბის მეთოდი, თავისუფალი წერა, „როლი-აუდიტორია-ფორმატი-თემა" (RAFT), აკადემიური წერა, ფანტაზიის გასავითარებელი წერა და სხვა.

წერა, კრიტიკული აზროვნების განვითარების ეფექტური საშუალებაა. ძირითადი დებულება, რომელიც პედაგოგმა საკუთარ საქმიანობაში უნდა გამოიყენოს, შემდეგია: ***კრიტიკული აზროვნებისათვის აუცილებელია, მოსწავლემ მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან თემებზე იფიქროს და წეროს.*** ამდენად, მან საკლასო ოთახში ისეთი გარემო უნდა შექმნას, რომელიც მოსწავლეს თავისუფალი აზროვნების საშუალებას მისცემს.

პედაგოგებს, რომელთაც სურთ, წერა გამოიყენონ, როგორც აზროვნების განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება, კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მოსწავლეთა უმრავლესობას წერისადმი უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სწავლის პროცესში ძირითადი აქცენტი წერის სწავლებაზე არ არის გადატანილი, არამედ მის შედეგზე – ნაწერზეა, რომლის დანიშნულებაც მხოლოდ წერის უნარის შემოწმება და შეფასებაა.

ჯეიმს სმიტის აზრით, წერა საუბრის ერთგვარი ფორმაა და ამით „ერთი ადამიანი მეორეს რაღაც ინფორმაციას ატყობინებს". ამ სტრუქტურის მიხედვით ადამიანი, რომელიც წერს, თავადვე უნდა ირჩევდეს თემას და აუდიტორიას (რაზე და ვისთვის უნდა რომ წეროს). სკოლის სინამდვილეში „აუდიტორიად" თანალკასელები მოიაზრებიან, წერილის წერის დროს –

კონკრეტული პიროვნება, საკონფერენციო თემის შემუშავებისას – განათლების სისტემის მესვეურნი (კომისიის წევრები) და სხვა. იმისათვის, რომ წერა წარმატებით ემსახურებოდეს კრიტიკული აზროვნების განვითარებას, პედაგოგმა შემდეგი მნიშვნელოვანი პრინციპები უნდა გაატაროს:

- ნაწერი ყოველთვის არ უნდა შეფასდეს;
- მოსწავლეებს ნაწერში საკუთარი გამოცდილების შესახებ თამამად და თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა ჰქონდეთ;
- მოსწავლეებს საშუალება უნდა ჰქონდეთ თავდაპირველად მართლწერის გარეშე, თავისუფლად წერონ (გათავისუფლდნენ სტერეოტიპებისაგან);
- თემა მოსწავლეებმა უნდა შეარჩიონ;
- მოსწავლეებს თანატოლებთან ერთად საკუთარი ნაწერის განხილვის საშუალება უნდა ჰქონდეთ.

წერის მეთოდების დადებითი მხარეები

წერის მეთოდებს რამდენიმე დადებითი მხარე აქვს:

- წერა ეხმარება მოზარდს სხვებისათვის გასაგები გახადოს თავისი სათქმელი და თავისუფლად გამოხატოს აზრები;
- წერა ავითარებს კრიტიკულ აზროვნებას და მოზარდს საკუთარ თავში ჩაღრმავების საშუალებას აძლევს;
- წერა ზრდის მოზარდის ცნობისმოყვარეობას და უფრო აქტიურ დამკვირვებლად აყალიბებს;
- მოზარდები სწავლობენ როგორ დგება ტექსტი;
- წერა საშუალებას აძლევს მოზარდს, საკუთარი ნააზრევი სხვას შეაფასებინოს და თავადაც ისწავლონ შეფასება.

რა ჭირდებათ მწერლებს?

პროფესიონალ მწერლებთან გასაუბრების შემდეგ შევიტყვეთ, რომ აუცილებელი პირობები, რომლებიც მათ წერისათვის ესაჭიროებათ, არის:

- **შესაძლებლობა წერონ რეგულარულად;**
- **საინტერესო თემები;**
- **მაგალითები;**

- **მკითხველი/აუდიტორია;**
- **გადახედვა/განახლება;**
- **პირობითი სტერეოტიპებისაგან გათავისუფლება;**
- **კოლეგების მხარდაჭერა**

საკუთარი თავისთვის წერა

„საკუთარი თავისთვის წერა" აზროვნების განვითარებასა და საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანას ემსახურება. ამ დროს აუდიტორიის როლში მოსწავლე გამოდის. იგი წერს, რათა უკეთ გაიაზროს და „მოაწესრიგოს" საკუთარი აზრები თუ მიღებული ინფორმაცია. ის თამამად წერს იმას, რაზეც ფიქრობს და მსჯელობს, რადგან იცის, რომ მისი ნაწერი არ შეფასდება. ,,საკუთარი თავისთვის წერა" მნიშვნელოვანი ფაქტორია კრიტიკული აზროვნების განვითარებისთვის.

მეთოდის აღწერა

1. სთხოვეთ მოსწავლეებს, რამდენიმე (3-5-10) წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ წერონ ყველაფერი, რაც კი თავში აზრად მოუვათ;
2. დანიშნული დროის გასვლის შემდეგ შეატყობინეთ, რომ დრო ამოიწურა;
3. მიეცით დრო, რათა აზრი დაასრულონ;
4. სთხოვეთ, რომ ნაწერი იმ პიროვნებას წააკითხონ/ჩააბარონ, ვისაც ენდობიან.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა.
- სხარტად და სწრაფად აზრის წერილობით გადმოცემა.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის პირველ და მესამე (გამოწვევა, რეფლექსია) ფაზას.

თავისუფალი წერა

თავისუფალი წერის დროს მთავარია ბევრი ფიქრისა და კრიტიკის გარეშე მოსწავლეების წერის პროცესში ჩართვა. ასეთი მიდგომა მოსწავლეს წერისადმი პოზიტიურ დამოკიდებულებას უყალიბებს და საშუალებას აძლევს მოტივირებულად წეროს იმის შესახებ, რაზეც ფიქრობს. იგი განსხვავდება „იძულებითი აზროვნებისაგან". თავისუფალი წერა, წერის სწავლების საუკეთესო საშუალებაა და წინ უსწრებს თემის დაწერას. იგი ეხმარება მასწავლებელს უკეთ გაიცნოს მოსწავლეები და დაადგინოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, რამდენიმე (3-5-10) წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ წერონ ყველაფერი, რაც კი თავში აზრად მოუვათ;
2. მოსწავლეებს, რომლებიც კონცენტრაციას ვერ ახერხებენ, აუხსენით, რომ შეუძლიათ დაწერონ შემდეგი ფრაზებიც კი – „ვერაფერს ვერ ვწერ, თავში არანაირი აზრი არ მომდის", „ძალიან დაღლილი ვარ", „რაზე ვწერო არ ვიცი" და სხვა;
3. დანიშნული დროის გასვლის შემდეგ, შეატყობინეთ, რომ დრო ამოიწურა;
4. მიეცით დრო, რათა აზრი დაასრულონ;
5. მსურველებს შეგიძლიათ ნაწერი წააკითხოთ.

შედეგები

მოსწავლეებს წერის კულტურა უყალიბდებათ. მათ შეუძლიათ:

- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- სხარტად და სწრაფად აზრის წერილობით გადმოცემა.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის პირველ და მესამე (გამოწვევა, რეფლექსია) ფაზას.

ესსე მოსწავლეებს შესწავლილი თემის შეჯამებაში ეხმარება. მასწავლებელს საშუალებას აძლევს შეაგროვოს ინფორმაცია კლასის ინტელექტუალური განვითარების შესახებ და სწორად დაგეგმოს მომდევნო გაკვეთილი.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეებს თემა გააცანით;
2. სთხოვეთ, რამდენიმე (3-5-10) წუთის განმავლობაში შეუსვენებლივ წერონ ყველაფერი, რაც კი თავში აზრად მოუვათ;
3. დანიშნული დროის გასვლის შემდეგ შეატყობინეთ, რომ დრო ამოიწურა;
4. მიეცით დრო, რათა აზრი დაასრულონ;
5. მსურველებს შეგიძლიათ ნაწერი წააკითხოთ;
6. წერის დასრულების შემდეგ ნაწერები გასასწორებლად ჩაიბარეთ.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- ნააზრევის თანმიმდევრულად გადმოცემა;
- საკუთარი აზრის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- შესწავლილი თემის შეჯამება და აზრის წერილობით გადმოცემა.

გამოიყენება:

ჰუმანიტარულ, ტექნიკურ, საბუნებისმეტყველო და სოციალურ საგნებში. აღნიშნული სტრატეგია მოიცავს გაკვეთილის პირველ და მესამე (გამოწვევა, რეფლექსია) ფაზას.

ასოციაციური კავშირები

მეთოდი, ,,ასოციაციური კავშირები", ხელს უწყობს კრიტიკული აზ-როვ-ნების განვითარებას. ის გონებრივი იერიშის ერთ-ერთი სახეა და ინდივიდუალურ ან მცირე ჯგუფებში მუშაობისას გამოიყენება. ინდივიდუალურ დონეზე ასოციაციური კავშირების დამყარებისას მოსწავლეები თემას კარგად უნდა იცნობდნენ; ამ დროს ორი ძირითადი წესია გასათვალისწინებელი: ა) ნუ გამოიტანთ დასკვნებს მოსწავლეთა ნააზრევებზე; ბ) მართლწერას ყურადღებას ნუ მიაქცევთ.

ასოციაციური კავშირები მოსწავლეებს თემის მრავალი კუთხით განხილვაში და წერითი ნაშრომის სრულყოფაში ეხმარება. იგი შესასწავლი თემის ირგვლივ მოსწავლის ან კლასის ცოდნის დასადგენად გამოიყენება.

მეთოდის აღწერა

1. დაფაზე ან ფორმატის ცენტრში ძირითადი სიტყვა ან ფრაზა დაწერეთ;
2. მოსწავლეებს სთხოვეთ, ცენტრალური სიტყვის გარშემო დააფიქსირონ თემასთან დაკავშირებით რა ასოციაციებიც გაუჩნდათ. აუხსენით, რომ კავშირებს ჯერ ნუ გამოყოფენ და ჩანაწერები მთელ ფორმატზე/ფურცელზე გააბნიონ; მოსწავლეებთან ერთად მითითებულ სამუშაოს მასწავლებელიც უნდა ასრულებდეს. ეს არაჩვეულებრივი, პირადი მაგალითია იმისათვის, რომ მოსწავლეებმა სამუშაო სერიოზულად აღიქვან;
3. განუსაზღვრეთ დრო და მიეცით ინსტრუქტაჟი, რომ წერონ აზრთა ნაკადის შეწყვეტისა და დროის ამოწურვამდე;
4. წერის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებულ ასოციაციებს (სიტყვებსა და ფრაზებს) შორის აზრობრივი კავშირები დაამყარონ;
5. განიხილეთ რამდენიმე ნამუშევარი და მოსწავლეებს კავშირების დამყარებაში დაეხმარეთ;
6. სთხოვეთ, ასოციაციური კავშირების გამოყენებით თემა დაწერონ.

შედეგები

მოსწავლეებს შეუძლიათ:

- მოტივირებულად და დამოუკიდებლად წერა;
- ნააზრევის თანმიმდევრულად გადმოცემა;
- წერილობით ნაშრომში მნიშვნელოვანი იდეების გამოყოფა;
- აზრების ლოგიკურად და თანმიმდევრულად დაკავშირება და თემის სხვადასხვა კუთხით განხილვა.

გამოიყენება:

გაკვეთილის პირველ (გამოწვევა) და მესამე (რეფლექსია) ფაზაზე.

ინდივიდუალური მუშაობის დროს — მესამე ფაზაზე.

ხუთსტრიქონიანი ლექსი

ხუთსტრიქონიან ლექსში, ნასწავლი ან შესასწავლი თემა, სინთეზურად, ლაკონურად და სწრაფად უნდა გადმოიცეს. აღნიშნული მეთოდი მასწავლებელს ეხმარება მოსწავლის მიერ ინფორმაციის გაგების ხარისხი შეაფასოს. ხუთსტრიქონიანი ლექსი მოსწავლეებში შემოქმედებითი უნარის განვითარებას, თვითრეალიზებას და კომპლექსებისგან გათავისუფლებას უწყობს ხელს და წერის პროცესისადმი პოზიტიულ დამოკიდებულებას უყალიბებს.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეებს ხუთსტრიქონიანი ლექსის დასაწერად თემა შესთავაზეთ. აუხსენით, რომ მათ ლექსის შექმნა გარკვეული სქემის მიხედვით მოუწევთ. ვიდრე მოსწავლეები ლექსის წერას შეუდგებიან, სასურველია, რამდენიმე მაგალითი თავად წაუკითხოთ;
2. დაფაზე სქემა გამოაკარით და მოსწავლეებს წერის ტექნიკა აუხსენით:
   - *პირველ ხაზზე მოცემულია ერთი სიტყვა (არსებითი სახელი, რომელიც თემას უკავშირდება);*
   - *მეორე ხაზზე მოცემულია თემის ორსიტყვიანი აღწერა (ორი ზედსართავი სახელი);*

- *მესამე ხაზზე მოცემულია თემასთან დაკავშირებული მოქმედება სამი სიტყვით (ზმნა);*
- *მეოთხე ხაზზე მოცემულია ოთხსიტყვიანი ფრაზა (თემასთან დაკავშირებით);*
- *ბოლო ხაზზე იწერება ერთი სიტყვა - სინონიმი, რომელიც თემის არსს გამოხატავს.*

3. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ამ სამუშაოს შესრულება ინდივიდუალურად (ან წყვილებში) მოუწევთ. ლექსის წერისათვის 5-7 წუთი მიეცით (თავდაპირველად, ლექსის წერისას უმჯობესია, მოსწავლეებმა წყვილებში იმუშაონ);
4. ინდივიდუალური მუშაობის შემდეგ, მოსწავლეებს წყვილებში ერთი საერთო ლექსი შეაქმნევინეთ;
5. სამუშაოს დასრულების შემდეგ, ლექსები მცირე ჯგუფებში ან მთელ კლასში განახილინეთ.

შედეგები

მოსწავლეებს შუძლიათ:

- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- შესწავლილი თემის სწრაფად შეჯამება და აზრის წერილობით გადმოცემა;
- ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერა;
- შეხედულებებისა და გრძნობების ლაკონურად და სწრაფად გადმოცემა;

გამოიყენება:

ნებისმიერ საგანში, გაკვეთილის პირველ (გამოწვევა) და მესამე (რეფლექსია) ფაზაზე; ინდივიდუალური მუშაობის დროს — მესამე (რეფლექსიის) ეტაპზე.

კუბის მეთოდი

„კუბის“ მეთოდი თემის სხვადასხვა კუთხით გაშუქების საშუალებას იძლევა. შერჩეული თემა მოსწავლეებისათვის კარგად ნაცნობი უნდა იყოს. მისი ძირითადი დანიშულებაა — კითხვას, წერასა და აზროვნებას შორის კავშირის დამყარება. აღნიშნული მეთოდი მოსწავლეებს შემოქმედებით აზროვნებას უვითარებს და ეხმარება საკითხი მრავალი კუთხით განიხილონ.

მეთოდის აღწერა

აღნიშნული მეთოდის გამოყენებისას საჭიროა 15-20სმ ზომის წახნაგებიანი კუბის ფორმის ყუთი. თითოეულ წახნაგზე დაწერეთ შემდეგი სიტყვები: აღწერე, შეადარე, გააანალიზე, დაიცავი, საწინააღმდეგო გამოთქვი, შეაფასე.

1. მოსწავლეებს კუბის შლილი, ან ქვემოთ მოცემული ცხრილი გამოუკარით და სთხოვეთ, შემდეგი ინსტრუქტაჟის მიხედვით შეავსონ (დასაფიქრებლად 2-5 წუთი მიეცით):
   - *<u>აღწერეთ:</u> აღწერეთ, დაახასიათეთ საგანი, მოვლენა, პიროვნება ან სხვა (როგორია? ფერი, ფორმა, ზომა, სხვა მახასიათებლები);*
   - *<u>შეადარეთ:</u> რას გახსენებთ? რისგან განსხვავდება? რა თავისებურება ახასითებს? დაუკავშირეთ, როგორც ნაცნობ, ისე უცნობ საგნებს, მოვლენებს, ადამიანებს და სხვა;*
   - *<u>გააანალიზეთ:</u> დაწერეთ 4-5 პოსტულატი, რაც მსჯელობის საშუალებას მოგცემთ — რამ გამოიწვია? რა ფაქტორებმა განაპირობა? რა შეცვალა ან რა ზე მოახდინა ზემოქმედება (ეაცობრიობის განვითარება ზე, ქვეყნის მომავალ ზე, მეცნიერება ზე და სხვა)? შეგიძლიათ გამოთქვათ ვარაუდები;*
   - *<u>დაიცავით:</u> მოიყვანეთ დამცავი არგუმენტები, რატომ ფიქრობთ ასე? რა არგუმენტები გაქვთ საამისოდ?*
   - *<u>საწინააღმდეგო გამოთქვით:</u> გამოთქვით საწინააღმდეგო მოსაზრებები და მოიყვანეთ შესაბამისი არგუმენტები, დაასახელეთ მიზ ეზები;*
   - *<u>შეაფასე:</u> შეაჯამეთ თქვენი ნაა ზრევები და გამოიტანეთ დასკვნა.*

დაწყებით კლასში აღნიშნული სიტყვები— „აღწერე“, „შეადარე“, „გააანალიზე“, „დაიცავი ან „საწინააღმდეგო გამოთქვი“ — შეცვალეთ კითხვებით. მაგალითად: „როგორია?“ „რას ჰგავს?“ რატომ მოგწონს ან არ მოგწონს? და სხვა. მნიშვნელოვანია თანმიმდევრობა შეინარჩუნოთ.

2. მოსწავლეებს განსახილებელი ნაწარმოები/საკითხი გააცანით და აუხსენით, რომ ზემოთ აღნიშნული ინსტრუქტაჟის მიხედვით წერონ;
3. თითოეული უჯრის შესავსებად 5-7 წუთი მიეცით. დრო მკაცრად აკონტროლეთ. უმჯობესია, თუ მოსწავლეებთან ერთად თქვენც შექმნით წერილობით ნაშრომს;
4. წერის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ, ნაწერი ერთმანეთს წყვილებში/ჯგუფებში გაუზიარონ;
5. სთხოვეთ, რომ ურთიერთგაზიარების დროს მეგობარს რჩევები მისცენ და ზუსტად განსაზღვრონ, რა მოეწონათ და რა არა (მაგალითად ,,მომეწონა შენი ხედვა... ეგებ რაიმე მითხრა ამ თემის შესახებ...“);
6. შესაძლებელია, ნაშრომი ჯგუფებშიც შეიქმნას. ამ შემთხვევაში, კლასი ექვს კაციან ჯგუფებად დაყავით და ჯგუფის თითოეულ წევრს თითო წახნაგი მიეცით შესავსებად: აღწერე, შეადარე და ა.შ. სთხოვეთ, თავად შეარჩიონ საუკეთესო ვარიანტი და კლასში ხმამაღლა წაიკითხონ (კითხვის დროს წახნაგების თანმიმდევრობა დაიცავით).

შედეგი:

წერის ამ მეთოდის გამოყენებით მასწავლებელი მოსწავლეებს ეხმარება:

- დამოუკიდებლად და შემოქმედებითად წერის უნარის განვითარებაში;
- საკუთარი თავისადმი რწმენის განმტკიცებაში;
- სხვისი აზრის შეფასებისა და გაზიარების შიშის დაძლევაში;
- გარკვეული თემის ირგვლივ მრავალფეროვანი მოსაზრებების ფორმირებაში;

გამოიყენება:

ნებისმიერ საგანში როგორც გამოწვევის, ისე რეფლექსიის ეტაპზე.

თემა _____	
სახელი, გვარი _____	
აღნერეთ:	
შეადარეთ:	
გააანალიზეთ:	
დაიცავით:	
სანინააღმდეგო გამოთქვით:	
შეაფასეთ:	

წერის სამოდელო გაკვეთილი

ათი-ოცი წლის წინ, წერის ხსენებისას ადამიანებს კალიგრაფია წარმოუდგებოდათ თვალწინ. შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა იმას, რომ მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს საკუთარი ნააზრევის ფურცელზე გადატანა ასწავლოს და ისინი ნამდვილ „მწერლებად" აქციოს.

მკვლევარებმა გამოიკვლიეს, რა ეტაპებს გადიან მწერლები რაიმე ნაშრომის შექმნის პროცესში. შემდეგ გააანალიზეს, როგორ იქცევიან მოსწავლეები, როდესაც მასწავლებელი მათ რაიმეს დაწერას სთხოვს და დაასკვნეს, რომ მოზარდებს წერის კარგი უნარი აქვთ. ამ კვლევაზე დაყრდნობით მათ წერის მეთოდიკა შეიმუშავეს. სკოლაში, ხშირად, მოსწავლეებს ისეთ თემებზე უწევთ წერა, რაც მათ ინტერესებსა და გამოცდილებას საკმაოდ მოწყვეტილია. გასათვალისწინებელია ისიც, რომ მათი წერილობითი ნაშრომის მკითხველი მასწავლებელია. ნაწერის გასწორების დროს კი, ძირითადი ყურადღება ექცევა იმას, თუ რამდენად კარგად იცის მოსწავლემ შესწავლილი თემა. იმისათვის, რომ მოზარდებმა წერა ისწავლონ, აუცილებელია წერონ ისეთ თემებზე, რაც მათ აინტერესებთ და აღელვებთ. აგრეთვე, წერონ რეალური მკითხველისათვის.

აკადემიური წერის პროცესი

წერის პროცესი, რომელსაც ამ სახელმძღვანელოში გთავაზობთ, სამ ეტაპს ითვალისწინებს: წინასწარი მომზადება (რეპეტიცია), ვარიანტების შექმნა და გადასინჯვა. გამოსაცემად გამზადებული წერილობითი ნაშრომი კი, დამატებით ორ ეტაპს მოიცავს - რედაქტირებასა და ბეჭდვას.

განვიხილოთ თითოეული ეტაპი:

რეპეტიცია

ეს არის ინფორმაციის შეგროვებისა და აზრების მოკრების ეტაპი. ამ დროს, მეგობრის დახმარებით, სასურველი თემებიდან ერთის შერჩევა და გარკვეულ საკითხზე არსებული ყველა შესაძლო ინფორმაციის, შეხედულებებისა და იდეების მოძიება ხდება. ამ

ეტაპზე მოსწავლე თემის ირგვლივ საკუთარ მოსაზრებებს აყალიბებს, ინიშნავს და ახარისხებს მნიშვნელოვან ინფორმაციას.

ინფორმაციის გრაფიკული ორგანიზებისათვის, რეპეტიციის ეტაპზე გამიყენება ასოციაციური კავშირები, **T**-სქემა, ვენნის დიაგრამა. მეთოდის გამოყენება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის თემას ირჩევს „მწერალი".

თემის შერჩევა

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, ინდივიდუალურად, 4-5 ისეთი თემა ჩამოწერონ, რომლის შესახებაც სიამოვნებით და დიდი ინტერესით დაწერდნენ;
2. როცა მოსწავლეები თემებს ჩამოწერენ, სთხოვეთ დაწყვილდნენ (შესაძლებელია მოსწავლეები საკუთარი სურვილით ან თქვენი შეხედულებით დაანყვილოთ) და მეწყვილეს თემის შერჩევაში დაეხმარონ; განუმარტეთ, წყვილში თემის შერჩევის დროს, როგორი სახის შეკითხვები უნდა დაუსვან ერთმანეთს და მაგალითი მიეცით: რატომ შეარჩიე სნორედ ეს თემა? რა ინფორმაციას ფლობ ამ თემის ირგვლივ? რამდენად აქტუალურია ეს თემა დღეს? და ა. შ.
3. სთხოვეთ, მეწყვილის მიერ დასმული შეკითხვები ჩაიწერონ, რადგან ისინი წერის პროცესის დაგეგმვაში და ნაშრომის დახვეწაში დაეხმარებათ;
4. სთხოვეთ, რვეულში ჩანიშნულ შეკითხვებს გადახედონ და საბოლოოდ შეარჩიონ თემა, რომელიც, მათი აზრით, აქტუალურია, საინტერესოა და რომელზეც გარკვეულ ინფორმაციას ფლობენ.

ვარიანტის შექმნა

ეს ეტაპი პირველადი მონახაზის შექმნას ითვალისწინებს. ამ დროს ნუსხის სახით ან ასოციაციური რუკის მეშვეობით ჩამოიწერება ნააზრევები და მიმდინარეობს წერის პროცესის დაგეგმვა. იქმნება რამდენიმე ვარიანტი, რომელთა განხილვაც მეწყვილესთან ერთად ხდება.

ასოციაციური რუკის შექმნა

1. მოსწავლეებს დრო განუსაზღვრეთ და სთხოვეთ, შერჩეული თემის ირგვლივ, ინდივიდუალურად, ასოციაციური რუკა

შექმნან. აუხსენით, რომ ამისათვის საჭიროა ფურცლის შუაში დაწერონ შერჩეული თემა და მის გარშემო რგოლებში განათავსონ ყველა ის საკითხი, რაც თემას უკავშირდება და რაზეც სურთ ისაუბრონ საკუთარ ნაშრომში;
2. შემდეგ სთხოვეთ, თემის ირგვლივ განთავსებული რგოლები ერთმანეთს ისრებით დაუკავშირონ ისე, რა თანმიმდევრობითაც აპირებენ განიხილონ მოცემული საკითხი;
3. სთხოვეთ, ასოციაციური რუკა კვლავ მეწყვილეებთან ერთად განიხილონ და ერთმანეთს რჩევები მისცენ. ამასთანავე, აუხსენით, რომ მეწყვილის რჩევები რვეულში უნდა ჩაინიშნონ, თუმცა შეუძლიათ ისინი ნაშრომის შექმნის პროცესში არც გაითვალისწინონ.

პირველადი ვარიანტის შექმნა

1. მას შემდეგ, რაც ასოციაციური კავშირები საბოლოო სახეს მიიღებს, პირველადი ვარიანტის შექმნა იწყება. ინდივიდუალური ნაშრომის შესაქმნელად დრო განუსაზღვრეთ და მკაცრად დაიცავით;
2. როდესაც მოსწავლეები წერას დაასრულებენ, ვარიანტების განსახილველად დრო მიეცით;
3. სთხოვეთ, მეწყვილეებთან ერთად ნაშრომი განიხილონ და ერთმანეთს რჩევები მისცენ. იმხჯელონ, რა საჭიროებს დახვეწას და რატომ;
4. მიაწოდეთ ბავშვებს საკითხთა ნუსხა, რაზეც ყურადღება უნდა გაამახვილონ. აუხსენით, როგორ განიხილონ ნაშრომები, როგორ დასვან შეკითხვები და გააკეთონ ჩანაწერები.

პრიველადი ვარიანტის განხილვა

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, წინასწარ შედგენილი შეკითხვებით ერთმანეთის ნაშრომები განიხილონ და მათზე დაყრდნობით რჩევები/რეკომენდაციები მისცენ;
2. აუხსენით, რომ პირველ რიგში, იმ საკითხებზე იმსჯელონ, რაც ყველაზე მეტად მოეწონათ. მიანიშნეთ, რომ რეკომენდაციის მიცემისას არ გამოიყენონ შემდეგი სიტყვები: „არ ვარგა“, „არ მომწონს“ და ა.შ. უმჯობესია, მეგობრის ნაშრომი შემდეგნაირად განიხილონ:

- *ხომ არ ფიქრობ, რომ შენს ნაშრომში მნირი ინფორმაციაა მოწოდებული ამ საკითხის შესახებ?*
- *ხომ არ ღირს ამ ნაწილის ამოღება?*
- *ვფიქრობ, რომ შესავალი ბუნდოვანია. მე ასე გავაკეთებდი...*
- *ხომ არ ფიქრობ, რომ დასკვნაც ჭირდება თემას?*

3. კიდევ ერთხელ აუხსენით მოსწავლეებს, რომ შეუძლიათ მეწყვილის რჩევები არ გაითვალისწინონ, მაგრამ სასურველია ჩაინიშნონ.

გადასინჯვა

ეს ეტაპი შექმნილი ვარიანტის დახვეწას გულისხმობს. ამ დროს ყურადღება მახვილდება: ა) როგორ შეიძლება სათქმელის უკეთ გადმოცემა; ბ)რამდენად ნათლად არის წარმოდგენილი ნააზრევი. მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა მეწყვილეებისაგან რჩევები და რეკომენდაციები მიიღეს, ნაშრომს საბოლოო სახეს აძლევენ.

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, ნაშრომი გადაწერონ და მასში რეკომენდაციების საფუძველზე ცვლილება-დამატებები შეიტანონ. ამ სამუშაოს შესასრულებლად დრო განუსაზღვრეთ.

რედაქტირება

რედაქტირება, ნაშრომის გამოცემის წინა ეტაპია. ამ ეტაპზე ხდება გრამატიკული, სტილისტური თუ კორექტურული შეცდომების აღმოჩენა და ჩასწორება.

1. წერის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს სთხოვეთ, განმარტოვდენენ, დადგნენ პირით კედელისკენ და საკუთარი ნაშრომი ხმამაღლა წაიკითხონ (თუ ამ სამუშაოს მოსწავლეები კლასში ასრულებენ, შეეცადეთ, კითხვამ ხმაური არ გამოიწვიოს);
2. განუმარტეთ, რომ ხმამაღლა კითხვის დროს მოინიშნონ ის ადგილები, რომლებიც არ მოეწონათ, ან ცუდად ჟღერს;
3. კითხვის დასრულების შემდეგ, სთხოვეთ თავიანთ ადგილებს დაუბრუნდნენ და მონიშნული ადგილები შეასწორონ;
4. ამის შემდეგ, სთხოვეთ, ნაშრომები (წყვილში) გაცვალონ, წაიკითხონ და ერთმანეთს რეკომენდაციები მისცენ.

გამოცემა

გამოცემა წერის პროცესის ბოლო ეტაპია. ამ დროს ნაშრომი აუდიტორიის სამსჯავროზე გადის.

1. კლასში „საავტორო სავარძელი" მოამზადეთ, მორთეთ ყვავილებით, ლამაზი გადასაფარებლით და სხვა;
2. მოიწვიეთ მოსწავლე (წახალისების მიზნით, შესაძლოა, „საავტორო სავარძელზე" მოიწვიოთ ისეთი მოსწავლე, რომელიც კარგი აკადემიური მოსწრებით არ გამოირჩევა, მაგრამ მოკლე დროში გარკვეულ წარმატებას მიაღწია) და სთხოვეთ, საკუთარი ნაშრომი თანაკლასელებს ხმამაღლა წაუკითხოს;
3. კითხვის დასრულების შემდეგ, ნაწერი კლასთან ერთად განიხილეთ. ამასთანავე, მიეცით მოსწავლეებს საშუალება „ავტორს" შეკითხვები დაუსვან.

წერის მეთოდი (RAFT) – როლი, აუდიტორია, ფორმატი, თემა

RAFT-ის მეთოდი მოსწავლეებს სხვადასხვა ფორმატის წერილობითი ნაშრომის შექმნაში ეხმარება. მასწავლებელი, ამ მეთოდის გამოყენებით, მოსწავლეებს აჩვევს, რა უნდა გაითვალისწინონ ნებისმიერი ტიპის წერილობითი ნაშრომის შექმნისას (იქნება ეს უბრალო წერილი, განცხადება, მოხსენებითი ბარათი, რეფერატი, ჩანახატი თუ სხვა).

მეთოდის აღწერა

1. დაფაზე ვერტიკალურად ჩამოწერეთ: როლი, აუდიტორია, ფორმატი, თემა;
2. გააცანით თემა და სთხოვეთ მოიფიქრონ, ვის როლში ისურვებდნენ ყოფნას. მაგალითად, მიეცით შემდეგი ინსტრუქტაჟი: *„გთხოვთ ორი წუთის განმავლობაში დაფიქრდეთ და ჩამოწეროთ (ინდივიდუალურად, წყვილებში ან ჯგუფებში), ვის როლში ისურვებდით ყოფნას XI-XII საუკუნის საქართველოში";*
3. მოსწავლეებს სთხოვეთ, რვეულში სამი-ოთხი როლი ჩამოწერონ;

4. მათი პასუხები, გონებრივი იერიშით, დაფაზე (ან ფორმატზე) გადაიტანეთ;
   როდესაც როლების ჩამოწერა დასრულდება, სთხოვეთ, შესაფერისი აუდიტორია შეარჩიონ. ინსტრუქტაჟი: *„გთხოვთ, ინდივიდუალურად განსაზღვრეთ ის აუდიტორია (პიროვნება), ვისთვისაც დაწერდით“;*
5. მათი პასუხები დაფაზე — ***„აუდიტორიის“*** — გასწვრივ ჩამოწერეთ;
6. ამის შემდეგ, მოსწავლეებს აუხსენით, რომ მათ წერილის დაწერა მოუწევთ და შემდეგი ინსტრუქტაჟი მიეცით: *„გთხოვთ აირჩიოთ როლი და XI-XII საუკუნის საქართველოს შესახებ წერილი მიწეროთ თქენს მიერ შერჩეულ აუდიტორიას (პიროვნებას)“;*
7. დრო განუსაზღვრეთ (15 წუთი) და სთხოვეთ, წერა დაიწყონ;
8. როდესაც მოსწავლეები წერას დაასრულებენ, მსურველებს კლასის წინაშე საკუთარი ნამუშევრები წააკითხეთ;
9. კითხვის დასრულების შემდეგ, შეკითხვები დაუსვით: როლისა და აუდიტორიის შერჩევის შემდეგ, როგორ დაიწყე წერილის წერა? რაზე ფიქრობდი წერის დროს? რა სიძნელეებს წააწყდი წერის პროცესში? იცოდი თუ არა, რა ფორმით უნდა მიგემართა მაგალითად, მეფისათვის ან კათალიკოსისათვის?
10. ეცადეთ, შეკითხვებით მოსწავლეებს დაანახოთ, რა ფორმით ინერება წერილი (შესაძლოა სხვა ფორმატი – განცხადება, რეფერატი და ა. შ.); რა ნაწილებისაგან შედგება იგი, როგორ იცვლება მისი ფორმა მიზნებიდან გამომდინარე და სხვა.

როლი	–	მეფე, დედოფალი, მთავარსარდალი, მეჭურჭლეთუხუცესი, კათალიკოსი ...
აუდიტორია	–	საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი, ჩემი კოლეგა, უფლისწული, ბერი, მეფე ...
ფორმატი	–	წერილი
თემა	–	XI-XII საუკუნის საქართველო

პირამიდული ისტორიები

აღნიშნული სტრატეგია წერას, მოსწავლეებისათვის, საინტერესო და შემოქმედებით საქმიანობად აქცევს; საშუალებას აძლევს ინდივიდუალურად, დამოუკიდებლად, მოკლე დროში საკუთარი „მოთხრობა" შექმნან და თანაკლასელების დახმარებით ნაშრომი დახვეწონ.

მეთოდის აღწერა

1. წინასწარ მოამზადეთ დაფაზე ან ფორმატზე სქემა (იხ. ქვემოთ), რომელსაც პირამიდის ფორმა აქვს;
2. მოსწავლეებს აუხსენით, რომ ისინი „მწერლების" როლში იქნებიან და საკუთარ ნაშრომებს შექმნიან. დაფაზე ინსტრუქტაჟი ჩამოუწერეთ და აუხსენით, რომ წერის დროს მოცემული თანმიმდებრობის დაცვა მოუწევთ:
   - პირველ ხაზზე დაწერეთ ერთი არსებითი სახელი (მოთხრობის გმირი);
   - მეორე ხაზზე — ორი ზედსართავი სახელი;
   - მესამე ხაზზე — სამი ადგილის და დროის გარემოება;
   - მეოთხე ხაზზე — ოთხი ზმნა.
3. მოსწავლეებს სთხოვეთ, 5-10 წუთის განმავლობაში, „პირამიდა" ყველა წესის დაცვით შეავსონ;
4. სთხოვეთ, საკვანძო სიტყვების გამოყენებით მოთხრობა შექმნან. აუხსენით, რომ წერის დროს პირამიდაზე ჩამოწერილი სიტყვები აუცილებლად უნდა გამოიყენონ, მაგრამ ასევე შეუძლიათ სხვა სიტყვებიც დაამატონ;
5. როდესაც მოსწავლეები წერას დაასრულებენ, სთხოვეთ „ავტორებს" თავადვე წარმოადგიგნონ საკუთარი ნაშრომები.

შედეგები

მოსწავლეებს შუძლიათ:

- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- წერის პროცესის დაგეგმვა / ეფექტური გეგმის შემუშავება;
- წერილობით აზრის ლოგიკურად და თანმიმდევრულად გადმოცემა;

გამოიყენება:

ნებისმიერ საგანში, როგორც გამოწვევის, ისე რეფლექსიის ეტაპზე. ინდივიდუალური მუშაობის დროს მეთოდი გამოიყენება მესამე, რეფლექსიის ეტაპზე.

1. _____
(არსებითი სახელი)
2. _____
(ზედსართავი სახელი)
3. _____
(ადგილის და დროის გარემოება)
4. _____
(ზმნა)

მნიშვნელოვანია:

ჩამონათვალი, თქვენი შეხედულებისამებრ, შეგიძლიათ გაზარდოთ. მაგალითად:

1. *პირველ ხაზზე დაწერეთ მოთხრობის მთავარი გმირის სახელი (არსებითი სახელი);*
2. *მეორე ხაზზე — ორი სიტყვა, რომელიც მთავარ გმირს ახასიათებს;*
3. *მესამე ხაზზე — სამი სიტყვა, რომელიც გვიჩვენებს, სად ხდება მოქმედება;*
4. *მეოთხე ხაზზე — ოთხი სიტყვა, რომელიც მთავარ პრობლემას აღწერს მოთხრობაში;*
5. *მეხუთე ხაზზე — ხუთი სიტყვა, რომელიც მოვლენის განვითარებას აღწერს;*
6. *მეექვსე ხაზზე — ექვსი სიტყვა, რომელიც პრობლემის გადაჭრას გვიჩვენებს.*

მაგიდის გარშემო წერით

აღნიშნული სტრატეგია მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს. მოსწავლეები მოკლე დროის განმავლობაში ერთობლივად ქმნიან წერილობით ნაშრომს.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეები დააჯგუფეთ (თითოეულ ჯგუფში 4-5 მოსწავლე) და თემა გააცანით (შეგიძლიათ თითოეულ ჯგუფს განსხვავებული თემა მიანოდოთ);
2. სთხოვეთ, მოამზადონ ფურცლები, კალმები და წერას შეუდგნენ. დრო განუსაზღვრეთ — 2 წუთი;
3. როდესაც დრო ამოიწურება, მოსწავლეები შეაჩერეთ (მოუხედავად იმისა დაასრულეს თუ არა ნაშრომი) და სთხოვეთ ფურცელი მარჯვნივ მჯდომს გადასცენ, ხოლო ახალი ფურცელი მარცხნივ მჯგომისაგან მიიღონ;
4. სთხოვეთ, მეგობრის ნამუშევარი წაიკითხონ და ნააზრევი ლოგიკურად გააგრძელონ ან დაასრულონ.
5. ასე გააგრძელეთ მანამ, სანამ ჯგუფის ყველა წევრს საკუთარი ნაწერი არ დაუბრუნდება (შეიძლება ფურცელი ორ ან მეტ წრეზე დაატრიალოთ);
6. როდესაც ფურცელი წრეზე მოძრაობას დაასრულებს, მოსწავლეებს სთხოვეთ, ნაშრომები ჯგუფებში განიხილონ და ყველაზე საუკეთესო შეარჩიონ;
7. ჯგუფებს სთხოვეთ, შერჩეული ნაშრომები კლასს წარუდგინონ.

შედეგები

მოსწავლეებს შუძლიათ:

- აზრების თანმიმდევრულად და ლოგიკურად გადმოცემა;
- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- შეხედულებების ლაკონურად და სწრაფად გადმოცემა;
- ნაშრომის შეფასება და თვითშეფასება;
- დროის ეფექტურად ორგანიზება;

გამოიყენება:

ნებისმიერ საგანში, როგორც გამოწვევის, ისე რეფლექსიის ეტაპზე.

ფანტაზიის განმავითარებელი წერა

აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს წერას, ხშირ შემთხვევაში, „მწერლის" ღრმა ფანტაზიის ნაყოფია. წერის დროს ავტორისათვის დიდ სტიმულს წარმოადგენს სამი ძირითადი მომენტი: ფანტაზიის აქტივიზირება, საკუთარი გამოცდილების ასახვა, ზოგიერთი დეტალის შელამაზება. აღნიშნული სტრატეგია ხელს უწყობს მოსწავლეებში წარმოსახვისა და ფანტაზიის განვითარებას.

მეთოდის აღწერა

1. საკლასო ოთახის კარზე, გარედან, მიაკარით ფურცელი - „ხელს ნუ შეგვიშლით";
2. მოსწავლეებს სთხოვეთ, 2-3-ჯერ ღრმად ჩაისუნთქონ, შემდეგ, თავი მერხზე დადონ და თვალები დახუჭონ. ჩაურთეთ მუსიკა;
3. მიეცით მინიშნებები, რომლებიც მოსწავლეებს დაეხმარება სხვადასხვა სურათი წარმოიდგინონ;
4. აუხსენით, რომ თქვენს მინიშნებებსა თუ შეკითხვებს ხმამაღლა არ უპასუხონ, არამედ მხოლოდ გონებაში წარმოიდგინონ (მაგალითად: არის ადამიანი, რომელსაც თქვენ ყოველდღე ხედავთ? სად გხვდებათ ის? გაიხსენეთ სამი რამ იმ ადგილის შესახებ? როფორია ეს ადამიანი თქვენს წამოსახვაში? წარმოიდგინეთ, რომ ხართ ტრამალზე მარტო, რა გრძნობა გაქვთ და სხვა.);
5. ამის შემდეგ, წერისათვის 15 წუთი მიეცით და მოსწავლეებს სთხოვეთ, ის სურათები და ემოციები, რომლებიც ფანტაზიაში წარმოიდგინეს, წერილობით ფურცელზე გადაიტანონ;
6. წერის დასრულების შემდეგ, მოსწავლეებს 10 წუთი მიეცით და სთხოვეთ, ნაწერები ერთმანეთს წყვილებში/გჯუფებში გაუზიარონ;
7. ჩაიბარეთ მოსწავლეთა ნაშრომები.

შედეგები

მოსწავლეებს შუძლიათ:

- საკუთარი ემოციებისა და აზრების თანმიმდევრულად გადმოცემა;
- ისტორიის შექმნა საკუთარი ფანტაზიით;
- წერა ნებისმიერ თემაზე.

გამოიყენება:
ნებისმიერ საგანში, როგორც გამოწვევის, ისე რეფლექსიის ეტაპზე.

კამათის გამომწვევი ესსეები

კამათის გამომწვევი ესსეების დაწერა იდეალური სავარჯიშოა კლასში გამართული დებატების შემდეგ. იგი ხელს უწყობს საკუთარი პოზიციის წერილობით ჩამოყალიბებას; მოსწავლეებს წერის პროცესს უადვილებს.

მეთოდის აღწერა

1. მოსწავლეებს სთხოვეთ, ისეთი საკითხი შეარჩიონ, რომელმაც მათში ინტერესი და აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია;
2. აუხსენით, რომ მათ კამათის გამომწვევი ესსეს დაწერა მოუწევთ. სთხოვეთ, პირველ აბზაცში, ინდივიდუალურად, აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიცია დაწერონ. ნაწერი უნდა იწყებოდეს ტექსტიდან მოყვანილი ციტატით, ფაქტებით, მნიშვნელოვანი გამონათქვამებით და სხვა. მიუთითეთ, რომ წერის დროს სტრიქონები გამოტოვონ. ამ დავალების შესასრულებლად 10 წუთი მიეცით;
3. მოსწავლეები დააწყვილეთ და სთხოვეთ, ესსეები ერთმანეთს წაუკითხონ; ის მოსწავლე, რომელიც მსმენელის როლში იმყოფება, მიანიშნებს არგუმენტებს, რომლებიც კიდევ ერთხელ ამყარებს ავტორის პოზიციას;
4. გაზიარების შემდეგ, მოსწავლეებს კიდევ 10 წუთი მიეცით არგუმენტების ჩამოსაწერად;
5. მეწყვილეებს სთხოვეთ, ერთმანეთს არგუმენტები წაუკითხონ. აუხსენით, რომ მსმენელის როლში მყოფ

მოსწავლეს, ამჯერად, არგუმენტების შესახებ კომენტარების გაკეთება მოუწევს. ასევე, უნდა გამოთქვას ვარაუდი, როგორი დასკვნა გაკეთდება აღნიშნული არგუმენტების საფუძველზე;

6. როდესაც განხილვა დასრულდება, მოსწავლეები დააჯგუფეთ და სთხოვეთ, ესსები ერთმანეთს წაუკითხონ. მიუთითეთ, რომ გაზიარებისას შემდეგი წესების დაცვა მოუწევთ: ჯერ საკუთარი პოზიცია წაიკითხონ, შეჩერდნენ და განიხილონ. შემდეგ, არგუმენტიები და დასკვნები გაუზიარონ ერთმანეთს. კომენტარებით შეაფასონ არგუმენტებისა და დასკვნების შესაბამისობა;
7. ამის შემდეგ მოსწავლეებს სთხოვეთ, 10 წუთის განმავლობაში კიდევ ერთხელ გადახედონ ნაწერებს და ცვლილება-დამატებები სტრიქონებს შორის ჩაწერონ.

შედეგები

მოსწავლეებს შუძლიათ:

- ლოგიკურად და თანმიმდევრულად წერა;
- წერილობით არუმენტირებული მსჯელობა;
- საკუთარი ნააზრევის ფურცელზე თავისუფლად გადატანა;
- ნაშრომის შეფასება და თვითშეფასება;

გამოიყენება:

ნებისმიერ საგანში რეფლექსიის ეტაპზე.

„სკოლა – ოჯახი – საზოგადოება“ გთავაზობთ შემდეგ სემინარებსა და პროგრამებს:

სემინარები სკოლის პედაგოგებისათვის

⇒ **აქტიური სწავლა და კრიტიკული აზროვნება სკოლაში**

⇒ **გაკვეთილების დაგეგმვა ეროვნული სასწავლო გეგმისა და ახალი საგნობრივი სტანდარტების მიხედვით**

⇒ **მრავალკომპონენტიანი (ათქულიანი) შეფასების სისტემის დანერგვა სკოლაში**

⇒ **საგნობრივი კათედრების საქმიანობის დაგეგმვა და მონიტორინგი**

⇒ **საგნობრივი ტრენინგები**

⇒ **ანტიკორუფციული განათლება და სამოქალაქო აღზრდა სკოლაში**

⇒ **სასკოლო პროექტის შემუშავება და მართვა**

⇒ **განათლება და ფსიქოლოგია: განვითარების ეტაპები**

სემინარები სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის

⇒ **თვითშეფასება – სკოლის მზადება აკრედიტაციისათვის**

⇒ **სკოლის განვითარების ეფექტური პროგრამის შექმნა** (სტრატეგიული დაგეგმარების ეტაპები, პირველადი მონახაზის შემუშავება, პროგრამის წარდგენა და მისი დაცვის მექანიზმები)

⇒ **სკოლის ფინანსური მენეჯმენტი**

⇒ **სკოლის თვითმმართველობების** (მოსწავლეთა და მშობელთა) **განვითარება**

⇒ **სკოლის მართვა და სისტემური განვითარება**

შინაარსი:

◊ რეფორმა განათლების სფეროში;

◊ წარმატებული სკოლის თვითშეფასების კრიტერიუმები;

◊ სკოლის მისია (დანიშნულება) და მიზნები („კოდექსი“);

◊ გუნდურობა და ლიდერობა;

◊ ზოგადი მენეჯმენტი, ადამიანური რესურსების მართვა;

◊ სტრატეგიული გეგმის შემუშავება.

წიგნიერების ახალ მიჯნაზე

საქართველოს სკოლებში დაწყებითი განათლების რეფორმირებისა და გაუმჯობესების პროექტი

შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს საქართველოს სკოლების დაწყებით კლასებში სწავლება-სწავლის გარდაქმნა-გაუმჯობესებას და ბავშვებში წიგნიერების დონის ამაღლებას. პროექტს უძღვებიან უცხოელი ექსპერტები და ადგილობრივი ტრენერ-კონსულტანტები.

ღია სკოლების განვითარების პროგრამა

შემოთავაზებული პროექტი გულისხმობს საქართველოს სკოლების საბაზო კლასებში სწავლება-სწავლის ხარისხის ამაღლებას, მოსწავლეთა მიღწევების გაუმჯობესებას და სკოლის სისტემურ განვითარებას.

პროგრამა შექმნილია საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან თანამშრომლობით.

ტრენინგებში ან პროექტებში მონაწილეობის მისაღებად დაგვიკავშირდით

მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. 40

ტელეფონი: 36 28 83

ელ-ფოსტა: editor@sfsa.org.ge